ქვიარ აკადემია

სილაბუსი:

I კვირა:
შესავალი:
- ერთმანეთის გაცნობა;
- „ქვიარ აკადემია" - მიზნები და ამოცანები;
- მონაწილეების მოლოდინები პროექტთან დაკავშირებით.

II კვირა:`

იდეოლოგიები და მათი დაყოფა მემარჯვენეობასა და მემარცხენეობაზე. ქვიარ თეორიის ადგილი ამ დაყოფაში.
- რა არის იდეოლოგია?
- რატომ და როგორ იყოფა მემარჯვენეობა და მემარცხენეობა? რა მნიშვნელობა აქვს ამ დაყოფას?
- სად დგას ქვიარ თეორია იდეოლოგიების ბინარული დაყოფის კონტინუუმში?

III კვირა:

მემარჯვენე იდეოლოგიები: ლიბერალიზმი,ლიბერტარიანიზმი, ნეოლიბერალიზმი.
- რა არის ლიბერალიზმი, ნეოლიბერალიზმი და ლიბერტარიანიზმი?
- რა საფუძვლებსა და ღირებულებებზე დგას ეს იდეოლოგიები?
- რა მსგავსებები და განსხვავებები არსებობს ამ იდეოლოგიებს შორის?
- როგორი მიმართებაა ქვიარ თეორიასა და იდეოლოგიებს შორის და როგორაა წარმოჩენილი ლგბტქ+ ადამიანების უფლებები ამ იდეოლოგიებში.

IV კვირა:

მემარცხენე იდეოლოგიები: სოციალიზმი, კომუნიზმი სოციალ-დემოკრატია.
- რა არის სოციალიზმი, კომუნიზმი, სოციალ-დემოკრატია?
- რა საფუძვლებსა და ღირებულებებზე დგას ეს იდეოლოგიები?
- ამ იდეოლოგიების პრაქტიკული განხორციელების მაგალითები.
- როგორი მიმართებაა ქვიარ თეორიასა და ამ იდეოლოგიებს შორის და როგორაა წარმოჩენილი ლგბტქ+ ადამიანების უფლებები ამ იდეოლოგიებში

V კვირა:

ვორქშოფი:
- ჯგუფებად დაყოფა და დავალებების გადანაწილება.

VI კვირა:

რელიგიასა და სახელმწიფოს შორის არსებული ურთიერთმიმართებები.
- რას ნიშნავს სეკულარიზმი?;
- რა ტიპის ურთიერთმიმართებები არსებობს რელიგიასა და სახელმწიფოს შორის?;
- ფუნდამენტალიზმი და რელიგიები;

ქვიარ აკადემია

VII კვირა:

მემარჯვენე იდეოლოგიები: კონსერვატიზმი, ნაციონალიზმი, ფაშიზმი; ნეო-კონსერვატიული/ანტიგენდერული მოძრაობების აღმასვლა.

- რა არის კონსერვატიზმი, ნაციონალიზმი, ფაშიზმი?
- რა საფუძვლებსა და ღირებულებებზე დგას ეს იდეოლოგიები?
- რა მსგავსებები და განსხვავებები არსებობს ამ იდეოლოგიებს შორის?
- როგორი მიმართებაა ქვიარ თეორიასა და ამ იდეოლოგიებს შორის და როგორაა წარმოჩენილი ლგბტქ+ ადამიანების უფლებები ამ იდეოლოგიებში?

VIII კვირა

მემარცხენე იდეოლოგიები: ფემინიზმი

- რა არის ფემინიზმი?
- რა მიმართულებები არსებობს ფემინიზმში? ფემინიზმის ტალღები.
- რატომ არის ფემინიზმი მემარცხენე იდეოლოგია?
- როგორ უკავშირდებიან, ავსებენ და ამყარებენ ფემინისტური და ქვიარ თეორია თუ მოძრაობები ერთმანეთს?

IX კვირა:

მემარცხენე იდეოლოგიები: მწვანე იდეოლოგია.

- რა არის მწვანე იდეოლოგია და რა მთავარ პოსტულატებს ეფუძნება იგი?
- როგორ იკვეთება ქვიარ თეორია და მწვანე იდეოლოგია?
- რატომ არის კლიმატის ცვლილება ქვიარ საკითხი და პირიქით, რა კავშირი აქვს მწვანეობას, კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლასა და გარემოსდაცვით საკითხებს ქვიარ მოძრაობასთან?

X კვირა:

ანარქისტული იდეოლოგიები.

- რა არის ანარქიზმი და როგორია მისი მიმართულებები?
- რამდენად იკვეთება ანარქიზმი და ქვიარ თეორია?

XI კვირა

ვორქშოპი:

- დავალებების პრეზენტაცია

XII კვირა:

შემაჯამებელი შეხვედრა